

# უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№9 (64) 2016


# უნივერსიტეტმა რექტორი აირჩია

***2016 წელი უნივერსიტეტისთვის ხმაურიანი მოვლენებით დატვირთული იყო. სასწავლო წელიც ხმაურით – სტუდენტთა საპროტესტო აქციით დაიწყო. თუმცა, ახალ სასწავლო წელს უნივერსიტეტი მნიშვნელოვანი სიახლით ხვდება – თსუ-მ რექტორი – გიორგი შარვაშიძე აირჩია, რომელიც უნივერსიტეტში კრიზისის დაძლევის სურვილითა და დიდი გეგმებით მოვიდა.***

***გიორგი შარვაშიძე უნივერსიტეტელია – სწორედ აქ დაამთავრა წარჩინებით ფილოლოგიის ფაკულტეტი, ყოველთვის გულშემატკივრობდა მშობლიურ სასწავლებელს და ამ რთულ ვითარებაში რექტორობაც სწორედ ამიტომ გადაწყვიტა. განათლების სფეროს მართვის საკმაოდ ხანგრძლივი და საინტერესო, მათ შორის ფორსმაჟორული სიტუაციების მართვის გამოცდილება დაუგროვდა, რაც იმედს აძლევს, რომ ამ მნიშვნელოვანი მისიის შესრულებასაც შეძლებს.***



## მიზანი

ახალი რექტორის მთავარი მიზანი უნივერსიტეტის არსებითად ახალ საფეხურზე გადაყვანაა. „ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ უნივერსიტეტი განვითარდეს. ის ნამდვილად ღირსია უკეთესის. ის არის პირველი კავკასიაში და, ბოლო კვლევებმაც აჩვენა, რომ ნამდვილად საუკეთესოა. მსურს რომ ეს თამასა ავწიო, მეტი გაკეთდეს და, სერიოზულად მაქვს იმის ამბიცია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდეს საერთაშორისო ცნობადი უნივერსიტეტი. დღეს ვამაყობთ იმით, რომ „თაიმსის" რეიტინგით რვაას ერთი პლიუს ადგილზე იმყოფება ჩვენი უნივერსიტეტი; ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი ფიზიკის მიმართულებით ვართ 187-ე ადგილზე... ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, საამაყოა, თუმცაღა არასაკმარისი. მგონია, რომ არათუ გამოვალთ ამ კრიზისიდან გაერთიანებული ძალებით, არამედ მივაღწევთ უფრო მაღალ შედეგებს". – ამბობს გიორგი შარვაშიძე.

ამისათვის კი უნივერსიტეტი ნამდვილ ევროპულ უმაღლეს სასწავლებლად უნდა იქცეს – სადაც შერწყმულია მდიდარი და უნიკალური ტრადიციები და თანამედროვე ღირებულებები, პრინციპები და ტენდენციები; სასწავლებელმა უნდა გაიუმჯობესოს ადგილები რანჟირების პრესტიჟულ საერთაშორისო სისტემებში და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულისთვის თსუ დიპლომი დასაქმებისა და წარმატებული პროფესიული საქმიანობის გარანტიად იქცეს.

***გაგრძელება მე-2 გვ.***

# „პირველების" არჩევანი



***ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სასწავლო წელი დაიწყო. 3500-მდე აბიტურიენტი უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, რომელთა 70 პროცენტს სახელმწიფო გრანტი აქვს მოპოვებული.***

***ჩვენი ქვეყნის მასშტაბით ერთიან ეროვნულ გამოცდებში რეიტინგით პირველი აბიტურიენტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სან დიეგოს უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამაზე ჩაირიცხა, ხოლო მაგისტრანტობის კანდიდატებს შორის პირველი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიიღო.***

თამარ მენთეშაშვილმა ქალაქ რუსთავის ივ. ჯავახიშვილის სახელობის 24-ე ქართული გიმნაზია დაამთავრა. სან დიეგოს უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამაზე ის კომპიუტერული მეცნიერებების ფაკულტეტზე ისწავლის; მაგისტრანტობის კანდიდატებს შორის რეიტინგით პირველი კი ქეთევან გოლეთიანია, მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი დაამთავრა და „საჯარო მმართველობაზე" თსუ-სა და გერმანიის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის (შპაიერი) ერთობლივ ინტერდისციპლინარულ სამაგისტრო პროგრამაზე

***გაგრძელება მე-3 გვ.***

# თსუ – პირველი ქართული უნივერსიტეტი Times Higher Education-ის რანქირებაში

***ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველი უნივერსიტეტია საქართველოდან, რომელიც „თაიმსის" მსოფლიოს უნივერსიტეტების რანჟირების ჩამონათვალში (Times Higher Education World University Rankings) მოხვდა.***

***„თაიმსის" რანჟირება მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულ რანჟირებათაგანია, რომელსაც საქმიანობის თორმეტწლიანი გამოცდილება გააჩნია. 2016-2017 წელს „თაიმსმა"***




***მსოფლიოს 980 საუკეთესო უნივერსიტეტის ჩამონათვალი გამოაქვეყნა. ამ ჩამონათვალში თსუ 801+ ადგილს იკავებს და ერთადერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა არა მხოლოდ საქართველოდან, არამედ მთელი კავკასიის რეგიონიდან. ევროპის მასშტაბით თსუ 354-ე ადგილს იკავებს და უსწრებს ისეთ უნივერსიტეტებს, როგორიცაა კაუნასის ტექნოლოგიის უნივერსიტეტი (ლიტვა), ლონდონის სამხრეთ სანაპიროს უნივერსიტეტი და სხვა.***

***გაგრძელება მე-3 გვ.***

# ბლუმბერგის საერთაშორისო სასწავლო-კვლევითი ლაბორატორია თსუ-ში

***ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბლუმბერგის (Bloomberg) საერთაშორისო სასწავლო-კვლევითი ლაბორატორია გაიხსნა. „ეს გახლავთ პირველი ამ სახის ლაბორატორია რეგიონში. ჩემს უნივერსიტეტშიც კი, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი უნივერსიტეტი გახლავთ დიდ ბრიტანეთში, მსგავსი ლაბორატორია არ გვქონია. ბლუმბერგის სისტემა გახლავთ სისტემა, რომელიც გამოიყენება საბანკო სტრუქტურებში, ფინანსურ ორგანიზაციებსა და მთავრობის ადმინისტრაციაში, მმართველობაში. ასე რომ სტუდენტებს, თავის დამსაქმებლებთან მისვლისას ექნებათ ის უნარ-ჩვევები, რაც, როგორც წესი, მუშაობის პირველ წლებში ადამიანს არ გააჩნია. მათ აქვთ გამოცდილება და კონკურენციის გაწევის შესაძლებლობა. ამას გარდა, უნივერსიტეტი იძენს დახვეწილ სისტემას ინფორმაციის შეგროვების, კვლევის ჩატარებისა და ახალი კურსების განხორციელების თვალსაზრისით,"- აღნიშნა ბლუმბერგის გაყიდვების მენეჯმენტის ხელმძღვანელმა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის ქვეყნებში ალექსანდრ უინჭემმა.***

კომპანია Bloomberg-მა შექმნა სპეციალური დამხმარე პროგრამა უმაღლესი სასწავლებლებისათვის – Bloomberg Education – რომელიც გულისხ-

***გაგრძელება მე-3 გვ.***

# თსუ-ში „ჭკვიანი ლაბორატორია" – SMART Lab გაიხსნა

***ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ-გერმანული სამეცნიერო ხიდის ფარგლებში 21 სექტემბერს სმარტ-ლაბი (SMART Lab) გაიხსნა. უნივერსიტეტში იმედოვნებენ, რომ იულიხის სამეცნიერო ცენტრთან თანამშრომლობით შექმნილი ლაბორატორიის გახსნით ქართველი წარმატებული მეცნიერების საქართველოში დაბრუნებას და მათთვის სათანადო პირობების შექმნას დაედება საფუძველი. ამასთან, თსუ სტუდენტებს ეძლევათ უნიკალური შანსი, თბილისშივე მიიღონ მონაწილეობა იულიხის ცენტრის კვლევებში.***

***„უკვე 10 წელია გერმანულ-ქართულ სამეცნიერო პროექტს ვახორციელებთ. ეს პროექტი ქართველ სტუდენტებსა და მკვლევრებს საშუალებას მისცემს ჩამოვიდნენ გერმანიაში, სადაც სწავლას და კვლევებს განაგრძობენ. დღეს კი ჩვენს თანამშრომლობას უფრო ფორმალური სახე მიეცა, ამ ლაბორატორიის საშუალებით ერთად ჩავატარებთ კვლევებს მაღალ ტექნოლოგიურ დონეზე. ქართველ სტუდნეტებს აქვთ პოტენციალი გახდნენ დიდი მეცნიერები. მათ საშუალება ექნებათ მაგისტრისა და დოქტორის ხარისხი გერმანიაში მიიღონ, შემდეგ საქართველოში დაბრუნდნენ და აქ განაგრძონ სამეცნიერო***

***გაგრძელება მე-4 გვ.***

# ევროპაში სწავლის შესაძლებლობა თსუ სტუდენტებისთვის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ევროკომისიის საგანმანათლებლო პროგრამის (Erasmus+) ფარგლებში წამყვან ევროპულ უნივერსიტეტებში უფასოდ სწავლის სულ უფრო მეტი შესაძლებლობა ეძლევათ. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებიდან ყველაზე მეტი სრულად ანაზღაურებული მობილობა სწორედ თსუ-მ მოიპოვა. გაიზარდა მთლიანად საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისთვის გამოყოფილი გრანტების ოდენობაც. ამ კუთხით საგანმანათლებლო პროგრამის პარტნიორ 127 ქვეყანას შორის საქართველო მე-5 ადგილზეა.

გვ. 4

# თსუ უწყვეტი განათლების ცენტრი – საუკეთესო არჩევანი აბიტურიენტთათვის!

ნინო დანელიშვილი და მარიამ აბრამიშვილი თსუ უწყვეტი განათლების ცენტრის აბიტურიენტთა მოსამზადებელ განყოფილებაში ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის ემზადებოდნენ.

2015-2016 სასწავლო წელს უწყვეტი განათლების ცენტრის აბიტურიენტთა მოსამზადებელ განყოფილებაში ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მომზადდა 33 აბიტურიენტი და საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის კი 55 მაგისტრანტობის კანდიდატი.

33-იდან 30-მა აბიტურიენტმა წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და სწავლა განაგრძო სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, მათ შორის თსუ-სა და სან დიეგოს უნივერსიტეტში. რამდენიმე მათგანმა მოიპოვა 100%-იანი დაფინანსებაც. მაგისტრანტობის ყველა კანდიდატმა წარმატებით ჩააბარა საერთო სამაგისტრო გამოცდა და სწავლა მაგისტრატურაში განაგრძო.

გვ. 3

# თსუ საბავშვო უნივერსიტეტი – პირველი ნაბიჯები საუნივერსიტეტო განათლებისკენ

სკოლის მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს უმაღლეს სასწავლებელზე არჩევანის გაკეთებაში უკვე რამდენიმე წელია ეხმარებიან თსუ სტუდენტები („დესპანები"). ისინი ცდილობენ საქართველოს ყველა კუთხეში ჩავიდნენ და ახალგაზრდებს თსუ-ში სწავლის საკუთარი გამოცდილება გაუზიარონ.

გვ. 4

# „შემოდგომის ლეგენდა 2016" – შენი აღმოჩენის დროა!



***თუ ხარ შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული, თუ გიყვარს ლიტერატურა – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და კომპანია „ჯეოსელი" გთავაზობთ სტუდენტურ ლიტერატურულ კონკურსს „შემოდომის ლეგენდა".***

კონკურსი მერვედ ჩატარდება და მასში, თბილისთან ერთად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები ჩაერთვებიან.

წელს ლეგენდის ფინალურ ტურს „ყვარლის ედემი" უმასპინძლებს. გაატარეთ შემოდგომის სამი

გვ. 4

# საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოფენა თსუ-ში



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა, სხვა უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და სკოლის მოსწავლეები ესწრებოდნენ მეცნიერების საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოფენას, რომელიც თსუ-ში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში გაიმართა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო თანამედროვე ტექნოლოგიების გამოფენა და პრაქტიკული აქტივობები სხვადასხვა კომპიუტერული მოწყობილობებისა თუ პროგრამული უზრუნველყოფის დემონსტრირების მიზნით.

მონაწილეები გაეცნენ ტექნოლოგიებს, რომლის გამოყენებაც მათ წარმატებით შეეძლებათ საგანმანათლებლო პროცესში. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ისეთმა ორგანიზაციებმა როგორებიცაა: ჯეოლაბი; ინტელი; ლენოვო; ჯეოსელი; დუცარე ეორგია; იცროსოფტ; ინგს; თ; მასწავლებლის სახლი; Iშ-ი; სტუ; Iთ აკადემია; შპს დაზგა; ორიენტ ლოჯიკი; L დუცატიონ, რომლებიც დამთვალიერებლებს საკუთარ საგანმანათლებლო რესურსებს წარუდგენენ.

# თსუ დოქტორანტების წარმატება




საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დოქტორანტების ფინანსური მხარდაჭერისთვის გამოცხადებულ სახელმწიფო საგრანტო კონკურსში კვლავ თსუ დოქტორანტები ლიდერობენ.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების 2016 წლის საგრანტო კონკურსზე 231 საპროექტო განაცხადი დარეგისტრირდა, რომლიდანაც 61 მოიხსნა. დარჩენილი 170 პროექტიდან დაფინანსდა 76. დაფინანსებული პროექტებიდან 29 (38%) თსუ დოქტორანტებს ეკუთვნის.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 29 დოქტორანტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი დაუნიშნავს სტიპენდიას, დაუფინანსებს სადოქტორო კვლევისთვის საჭირო ხარჯებს, საზღვარგარეთ სტაჟირებას ან კონფერენციაზე გამგზავრებას და მონაწილეობას.

# შემოდგომის ლეგენდა 2016 – შენი აღმოჩენის დროა!

დაუვიწყარი დღე კახეთში, გააცოცხლეთ თქვენი ლიტერატურული გმირები და გააცანით ისინი მთელ საქართველოს.

ლიტერატურული კონკურსი სტარტს ***29 სექტემბერს*** აიღებს და ორ ეტაპად ჩატარდება:

***I ეტაპი*** – შიდაშესარჩევი ტური:

მონაწილეობის მსურველებმა, ***28 ოქტომბრის ჩათვლით***, კონკურსის ელ.ფოსტაზე – shemodgomis-legenda@tsu.ge უნდა გამოაგზავნოთ:

- ✓ პროზაული ნაშრომი – მოთხრობა ან ნოველა (შესაძლებელია ნაწყვეტი ვრცელი ტექსტიდან) ნაბეჭდი სახით, არანაკლებ ერთი და არაუმეტეს სამი თაბახის გვერდისა; ჟანრი და თემა შეუზღუდავია;
- ✓ შევსებული ანკეტა.

უნივერსიტეტის ჟიური შიდაშესარჩევ ტურში გამოავლენს 10 ფინალისტს, რომლებიც მეორე ტურში გადაინაცვლებენ და მთავარი კონკურსის – იმპროვიზაციული ტურის მონაწილეები გახდებიან.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფულად პრემიას და კომპანია ,,ჯეოსელის" პრიზებს გამარჯვებული სამეული მიიღებს:

***I ადგილი*** – 1000 ლარი და კონკურსის სიმბოლო;

***II ადგილი*** – 700 ლარი;

***III ადგილი*** – 500 ლარი.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 2 22 23 91
https://www.facebook.com/tsu.legenda

# უნივერსიტეტმა რექტორი აირჩია

*პირველი გვერდიდან*

## მოკავშირეები

გიორგი შარვაშიძე მოკავშირედ თვლის ყველას, ვინც ამ მიზნების შესრულებას აუცილებლად მიიჩნევს. ამბობს, რომ უმნიშვნელოვანესია საუნივერსიტეტო საზოგადოების, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, სტუდენტებისა და ადმინისტრაციის გაერთიანება საერთო საუნივერსიტეტო იდეის გარშემო მათი ხედვის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების მიუხედავად. პირველ რიგში სწორედ მათი მხარდაჭერის იმედი აქვს. ამასთან, ,,მოკავშირე იქნება ყველა ის ადამიანი, ვისაც ამის სჯერა და ყველა ის, ვინც გულშემატკივრობს ჩვენს უნივერსიტეტს; ძალიან ბევრი ადამიანია დაკავშირებული უნივერსიტეტთან, ჩვენ გვაქვს უნიკალური პოზიციონირება, რომლის გამოყენებაც არის უმნიშვნელოვანესი. მიუხედავად პრობლემებისა და იმ რთული წლებისა, რაც გამოიარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ის გადარჩა და მოვიდა ჩვენამდე. ახლა ჩვენი ამოცანაა ავიდეთ უფრო მაღალ საფეხურზე" – ამბობს რექტორი.

## პირველი ნაბიჯები

პირველივე სამუშაო დღეებში რექტორმა უნივერსიტეტის განვითარების კონცეფციის შექმნის განზრახვის შესახებ განაცხადა და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმაც დაიწყო. საკუთარ თავს და უნივერსიტეტს ამისთვის 3 თვეს აძლევს. ,,სამ თვეში უნივერსიტეტმა ზუსტად უნდა იცოდეს, როგორ და რა ტემპით ვითარდება, რა არის ინდიკატორები, როგორ ვამოწმებთ იმას, ვვითარდებით თუ არა. ეს იქნება თანამედროვე, ღია დოკუმენტი – ალბათ პირველად საუნივერსიტეტო სივრცეში. უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს განვითარების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი ხედვა. ჩვენ უნდა გავხდეთ კვლევის და სწავლების საუკეთესო ცენტრი დიდ რეგიონში. როგორ მივაღწევთ ამ მიზანს? როგორ გავზომავთ მივაღწიეთ თუ არა მიზნამდე? ეს ყველაფერი არის ელემენტარული საკითხი, ეს არის იმ ცოდნის საკითხი, რომელიც გააჩნია განათლების სფეროს სპეციალისტს. მე ვარ უმაღლესი განათლების მართვის სპეციალისტი და ძალიან კარგად ვიცი, როგორ შეიძლება ამის გადაყვანა ინდიკატორებში, ჩაშლა დროში და შემდგომ რესურსების მობილიზება ქვეყნის გარედან, ქვეყნის შიგნიდან. ვაპირებთ განვითარების პროცესში ჩავრთოთ ყველა, პირველ რიგში უნივერსიტეტში დღეს მოღვაწე პროფესიონალები, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, ბიზნესი, დამსაქმებლები და სხვ.", – აცხადებს გიორგი შარვაშიძე. რექტორის თქმით სტრატეგიული გეგმა უფრო მასშტაბურია, თუმცა ,,4 წელი იქნება ის მიჯნა, სადაც გვინდა, რომ სასწავლო გარემო ძირითადად შეიცვალოს, მოხდეს ამ გარემოს შეგუება თანამედროვე მოთხოვნებთან, თანამედროვე ტექნოლოგიები შემოვიდეს კვლევასა და სწავლებაში, გვქონდეს უფრო მეტი ლაბორატორია, რაც მთავარია, ხდებოდეს ცოდნის კვლავწარმოება, გადაცემა და არა მხოლოდ აკუმულირება".

## სტუდენტი – უნივერსიტეტის ღერძი

,,ჩემი ღრმა რწმენით, თსუ უნდა იყოს ევროპული სტანდარტების დონის უნივერსიტეტი. რას ნიშნავს ეს სტანდარტი? სტუდენტი უნდა გახდეს უნივერსიტეტის ღერძი", – ამბობს გიორგი შარვაშიძე. ამისთვის იგი პირველ რიგში გეგმავს სასწავლო ბაზების პრობლემის გადაწყვეტას, სტუდენტური მომსახურებებისთვის ,,ერთი ფანჯრის პრინციპის" შემოღებას, სტუდენტური საცხოვრებლის შესაქმნელად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას, კვლევის კომპონენტის დაბრუნებას სწავლების პროცესში, კვლევისა და სწავლის შერწყმას, სტუდენტების ჩართვას კვლევაში. იხსენებს ფეხბურთელთა წარმატებებს და ამბობს, რომ მზადაა სპორტის სხვა სახეობების განვითარებასაც შეუწყოს ხელი, მათ შორის უნივერსიტეტის ტრადიციულად ძლიერი კალათბურთის გუნდის მხარდაჭერას, ალპინიადის ტრადიციის აღდგენას და ა.შ.

,,გვაქვს ძალიან ბევრი საკითხი, მათ შორის არის სტუდენტური ცხოვრების გააქტიურება, მათ შორის სტუდენტური აქტივიზმი. ჩვენ ვხედავთ დღეს, რომ ამან რაღაც ფორმა მიიღო – ზოგისთვის მოსაწონი და ზოგისთვის არცთუ მოსაწონი. მე მგონია, რომ ფორმა შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი, ეს გემოვნების საკითხია, თუმცა შინაარსი არის ერთი – სტუდენტი აქ იმიტომ მოდის, რომ მიიღოს მაღალი ხარისხის განათლება. ეს არის იმპერატივი, ამის გარშემო უნდა ვიმუშავოთ ჩვენ ყველამ: რაც შეიძლება მაღალი ხარისხის განათლება ჰქონდეს ჩვენს კურსდამთავრებულს; მერე შეეძლოს ცოდნის გამოყენება რეალურ ცხოვრებაში, დასაქმდეს. ეს ყველაფერი უნდა იზომებოდეს. აუცილებლად უნდა ვაწარმოებდეთ დასაქმების სტატისტიკას; მაგალითად 5 -10 წელიწადშიც უნდა ვიცოდეთ, მიაღწია თუ არა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა კარიერულ ზრდას. ეს არის ის საკითხები, რომელიც იქნება ასახული ამ დოკუმენტში და ჩვენ ძალიან კარგად პ' ამბობს რექტორი. ამ მიზნის მისაღწევად სხვა რესურსების გარდა, დონორთა მობილიზების იმედიც აქვს: "ჩვენ გავხდით ,,ჰორიზონტ 2020"-ის წევრი. უკვე შესაძლებელია, რომ ჩვენ მივიღოთ სერიოზული დახმარება ამ არხების მეშვეობით, ვფიქრობ, რომ უფრო აქტიურად უნდა ვიმუშაოთ ევროგაერთიანებასთან. ჩემი ინფორმაციით, 2017 წლიდან საქართველოს ერთ-ერთი განვითარების პრიორიტეტი იქნება უმაღლესი განათლება, ამიტომ ვვარაუდობ, რომ ფონდების დიდი რაოდენობა გახდება ხელმისაწვდომი. ვისურვებდი, რომ ამ გრანტების პირველი ბენეფიციარი სწორედ ჩვენი უნივერსიტეტი გახდეს. ამ კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით ადმინისტრაციაში უნდა არსებობდეს ჯგუფი, რამდენიმე პროფესიონალი, რომელიც იმუშავებს თანხების მოზიდვაზე და ანგარიშვალდებულიც იქნება... ძალიან ბევრია გასაკეთებელი მეცნიერების რეზულტატების კომერციალიზაციისთვის. პირველი ,,ფაბლაბი" გვაქვს, სმარტ-ლაბი ახლა გაიხსნა მე-2 კორპუსში, ბლუმბერგის ლაბორატორიაც, თუმცა ეს არ არის საკმარისი. ლაბორატორია უნდა გვქონდეს ბევრი და მკვლევრებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, რომ მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო კვლევებში. ვეცდებით, რომ ჩავრთოთ კვლევებში ის მეცნიერები, რომლებიც არ არიან საქართველოში, ძალიან საინტერესო იდეები გვაქვს და გამოცდილება ამ მიმართულებით", – ამბობს გიორგი შარვაშიძე და ამ საქმეში უნივერსიტეტის სამეცნიერო ინსტიტუტების დიდი იმედიც აქვს.

## საჭირო ფინანსები

უნივერსიტეტის ახალი რექტორი თსუ-ში უნივერსიტეტის განვითარების ფონდის შექმნის იდეით მოდის. ,,ეს ფონდი სამ თვეში ვერ შეიქმნება, თუმცა, სამომავლოდ სწორედ აქ უნდა მოხდეს აკუმულირება სხვადასხვა თანხების – იქნება ეს კურსდამთავრებულების შემოწირულობა, ბიზნესისგან თუ სახელმწიფოსგან გაღებული თანხა თუ ა.შ. უნივერსიტეტს დღეს აქვს სხვადასხვანაირი დაფინანსება. სტუდენტური ვაუჩერების გარდა, მაგალითად, ერთი ნაწილი ფინანსდება ბიუჯეტიდან და ეს ეხება კვლევით დაწესებულებებს – საუბარია 14 კვლევით დაწესებულებაზე, რომელიც 2010 წელს გადმოვიდა საუნივერსიტეტო სივრცეში და განაგრძობს არსებობას უნივერსიტეტის ქოლგის ქვეშ. აქვე არის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ასევე ფინანსდება პირდაპირ ბიუჯეტიდან. მაგალითად მე-3 სასწავლო კორპუსის აღდგენა, მორფოლოგიის ინსტიტუტის აღდგენა, ფიზიკის ინსტიტუტის საკონფერენციო ნაწილის აღდგენა, სარებილიტაციო სამუშაოები ეროვნულ სამეცნიერო ბიბილიოტეკაში ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში... ყველა აქტივობის დაფინანსება, რაც იყო რემონტთან და რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული, მოდის განათლების სამინისტროდან. დაახლოებით, 7 მილიონი ლარი გამოიყო ამ სასწავლო წლისთვის, რათა მომზადებულიყო უნივერსიტეტი. ტენდენცია ძალიან კარგია, თუმცა – არასაკმარისი. ადრე რომ დაგვეწყო, კარგი იქნებოდა, თუმცა მაღალი კონკურენცია იყო და ბევრმა უნივერსიტეტმა იყოჩაღა. ეს ცუდი არ არის, ძალიან კარგია, თუმცაღა უფრო კარგი იქნებოდა, რომ მეტი სწორედ ჩვენს უნივერსიტეტში ყოფილიყო", – ამბობს გიორგი შარვაშიძე და უახლოესი პერიოდის მთავარ ამოცანასაც გვაცნობს: ,,ჩვენ გვაქვს ძალიან სერიოზული გამოცდა ჩასაბარებელი, ეს არის უნივერსიტეტის ასი წლის იუბილე. 2018 წელს შეხვდება განახლებული უნივერსიტეტი თავის იუბილეს. ეს არის საუკუნოვანი ტრადიცია, რომელიც გაგვაჩნია. უნდა დავფიქრდეთ, თუ რას ვაკეთებთ იმისთვის, რომ ამ თარიღს შევხვდეთ ძალიან ღირსეულად".

# თსუ-ში ,,ჭკვიანი ლაბორატორია" – SMART Lab გაიხსნა

*პირველი გვერდიდან*

***მოღვაწეობა," – განაცხადა იულიხის კვლევითი ცენტრის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ სებასტიან შმიდტმა ლაბორატორიის გახსნის ცერემონიაზე.***

SMART EDM_Lab-ში მიმდინარე სამუშაოები დაეხმარება ქართველ სტუდენტებს თანამედროვე ექსპერიმენტული ფიზიკის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში, რაც მოიცავს ელექტრონიკას, პროგრამირებას, კომპიუტერულ ტექნიკას, მექანიკურ და პროგრამულ ინჟინერიას, მონაცემთა სტატისტიკურ ანალიზს, ფიზიკური პროცესების მოდელირებას და სხვა. აღსანიშნავია, რომ ამ ყველაფრის გამოყენება-ათვისება მოხდება კონკრეტულ აქტუალურ სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობით, რაც თავისთავად უდიდეს უპირატესობას წარმოადგენს. ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს ქართველ მეცნიერებს ჩაატარონ კვლევები და უფრო ღრმად შეისწავლონ, სამყაროს განვითარება დიდი აფეთქებიდან დღემდე. დიდი აფეთქების შემდგომ, სამყაროს ევოლუციის პროცესში ყოველი 10 მილიარდი ნაწილაკიდან 1 ნაწილაკი (მატერია) გადაურჩა ანტიმატერიასთან ანიჰილაციის (გაერთიანების) პროცესს. სწორედ ამ გადარჩენილი ნაწილაკებიდან შეიქმნა დღევანდელი სამყარო. იმის გარკვევა, თუ რატომ მოხდა ასე, არის აღნიშნული კვლევების მიზანი.

არსებობს სამყაროს უცნობი კანონზომიერებების ძიების ორი სტრატეგიული მიმართულება: კვლევების წარმოება მაღალ ენერგიებზე, რომლის თვალსაჩინო მაგალითია LHC-ზე მიმდინარე ექსპერიმენტები, და მისი ალტერნატივა – მოწინავე ტექნოლოგიების და მეთოდების გამოყენება შედარებით დაბალ ენერგიებზე, რაც რაციონალური რესურსების პირობებში იძლევა ექსპერიმენტების სიზუსტის მნიშვნელოვნად გაზრდის საშუალებას.ასეთ ჯგუფს განეკუთვნება დამუხტული ნაწილაკების ელექტრული დიპოლური მომენტების (ედმ) ძიება. ამ ფიზიკურის სიდის ექსპერიმენტული დამზერა იქნება უშუალო მინიშნება სამყაროს განვითარების დღეისათვის არსებული სურათის არასრულყოფილობაზე, რამაც შესაძლოა ასევე წარმოდგენა შეგვიქმნას ჩვენი არსებობის მიზეზებზე.

აღნიშნული ტიპის კვლევები, პოლარიზებული დეიტრონების ნაკადის გამოყენებით, უკვე დაწყებულია იულიხის კვლევითი ცენტრის COSY ამაჩქარებელზე, სადაც ქართული ჯგუფი აქტიურადაა ჩართული. ედმ-ის არსებობის შემთხვევაში მოსალოდნელია პოლარიზებული ნაკადის პოლარიზაციის ვექტორის ორიენტაციის ცვლილება დროში, რომლის დამზერაც წარმოადგენს აღნიშნული ექსპერიმენტის ძირითად იდეას. ამ ცვლილების დასაფიქსირებლად კი საჭიროა მაღალი მგრძნობიარობის პოლარიმეტრის შექმნა, რაც წარმოადგენს ქართული ჯგუფის ძირითად ამოცანას.

აღნიშნული პოლარიმეტრი შედგება დეტექტორისა და სამიზნისაგან. მისი ცალკეული დეტალების შექმნა და გამოცდა იქნება SMART EDM_Lab-ის ძირითადი ამოცანა. აღნიშნული ლაბორატორია იქნება JEDI (იულიხის ელექტრული დიპოლური მომენტის კვლევები) საერთაშორისო კოლაბორაციის ძირითადი პარტნიორი ამ მიმართულებით. ამ ლაბორატორიაში ასევე მოხდება პოლარიმეტრის დეტექტორის მონაცემების შეგროვებისა და მათი რეალურ დროში გაანალიზების პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაც. გარდა ამისა, პოლარიმეტრის კონცეფცია მოიცავს სრულიად ახალი ტიპის სამიზნის შექმნასაც, რაც არნახულ საინჟინრო სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამ სამიზნის კონსტრუქციის ცალკეული კვანძების გამოცდა-დახვეწა ასევე მოხდება SMART EDM_Lab-ში.

# „პირველების“ არჩევანი

***პირველი გვერდიდან***

ჩააბარა. ქეთევანს 4 წლის წინ აბიტურიენტთა რეიტინგშიც პირველი ადგილი ეკავა.



***ქეთევან გოლეთიანი*** იხსენებს, რომ ბაკალავრიატის საფეხურზე ერთი სემესტრი გაცვლითი პროგრამით სწავლობდა ესტონეთში, ტარტუს უნივერსიტეტში, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და ევროკავშირ-რუსეთის ურთიერთობების კოლეჯში. წელს დაამთავრა უნივერსიტეტი და გადაწყვიტა მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელება. რამდენიმე პროგრამაზე ჩააბარა, თუმცა, საბოლოოდ არჩევანი გააკეთა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ინტერდისციპლინურ სამაგისტრო პროგრამაზე „საჯარო მმართველობა“.

„ვფიქრობ, ეს პროგრამა საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოა. მრავალფეროვან თეორიულ მოდულებთან ერთად პროგრამა მოიცავს 2 პრაქტიკულ მოდულს, სტაჟირებას ჯერ საქართველოში, შემდეგ კი – ევროპაში. საშუალება მექნება საკმაოდ საინტერესო და ინტენსიური კურსები გავიარო არა მხოლოდ ქართველ, არამედ მოწვეულ გერმანელ ლექტორებთან. მოლოდინები დიდი მაქვს, ვფიქრობ, ეს პროგრამა თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ, პროფესიულ უნარებთან ერთად ბევრ ახალ შესაძლებლობას გააჩენს ჩემს ცხოვრებაში. თუმცა, მთავარი მაინც იმაზეა დამოკიდებული, ამ პროგრამისგან მიღებულ ცოდნას როგორ გამოვიყენებ. იმედი მაქვს, საკუთარ თავსაც გავუმართლებ იმედებს.

4 წლის წინ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით ყველაზე რეიტინგული აბიტურიენტი ვიყავი და ის პერიოდი და მაშინდელი ემოციები ალბათ გაცილებით მნიშვნელოვანი იყო, თუმცა ის, რომ წელსაც მოვახერხე კარგი შედეგის ჩვენება, სასიამოვნოა.

პრაქტიკული თვალსაზრისით იმას, თუ მერამდენე ხარ რეიტინგში, არანაირი გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, იმდენად კარგი შედეგი გქონდეს, რომ სახელმწიფო გრანტი მოიპოვო. ემოციური თვალსაზრისით კი, სასიამოვნო და სასიხარულო იყო, როგორც ნებისმიერი შემთხვევა, როცა ხედავ, რომ შენს შრომას გარკვეული შედეგი მოაქვს. უნარების სამაგისტრო გამოცდა მხოლოდ პირველი ეტაპია, რომელსაც შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები და გასაუბრებები მოსდევს, ამიტომ კარგი შედეგი ერთგვარ სტიმულს და მოტივაციასაც გაძლევს შემდგომი ეტაპების წარმატებით გავლისთვის.

ჩემზე უფრო პატარა სტუდენტებს ვეტყოდი, რომ განათლება მათთვის პრიორიტეტული უნდა იყოს და შეძლებისდაგვარად დიდი დრო და ენერგია სწორედ ამას დაუთმონ. რა თქმა უნდა, მხოლოდ საუნივერსიტეტო საგნების ათვისებას არ ვგულისხმობ. მაქსიმალურად გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა, იქნება ეს გაცვლითი პროგრამები, საერთაშორისო პროექტები თუ კონფერენციები. როცა ამას ინტენსიური ხასიათი აქვს, ნებისმიერი სახის გამოცდის და გამოწვევის წარმატებით დაძლევა ბევრად იოლიც ხდება და არც ბევრ ნერვიულობასა და სტრესთან არის დაკავშირებული“. – ამბობს ქეთევან გოლეთიანი.

***თამარ მენთეშაშვილი*** დღეს პირველ ნაბიჯებს დგამს უმაღლესი განათლების კიბეზე; ამბობს, რომ პირველად სან დიეგოს უნივერსიტეტის პროგრამის და ზოგადად უნივერსიტეტის შესახებ გაიგო თსუ-ში გამართული კონკურსი ზუსტ და საბუნებისმეტყველო საგნებში.

„გადაწყვეტილების მიღება არ გამჭირვებია, რადგან ადრეული ასაკიდან მქონდა მიდრეკილება ტექნიკური საგნების მიმართ. მჯერა, რომ საინტერესო სტუდენტობა და ბევრი წარმატებული პროექტი მელის წინ. პირველი ადგილი რეიტინგში იმაზე სასიამოვნო აღმოჩნდა, ვიდრე წარმომედგინა. საკმაოდ დიდი გამოხმაურება და ყურადღება მოჰყვა ამ ფაქტს, რაც ერთდროულად დიდი სტიმულიც არის და პასუხისმგებლობაც. სხვა ახალგაზრდებს ვურჩევ, რომ სწორად გამოიყენონ თავიანთი შესაძლებლობები, აირჩიონ ის, რაც სიამოვნებას ანიჭებთ და არასოდეს დანებდნენ. თუ ვიღაცამ შეძლო, თქვენც ყველაფერი გამოგივათ, მთავარი მონდომებაა“. – ამბობს თამარი.



ახალ სასწავლო წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი განახლებული ინფრასტრუქტურით ხვდება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა თსუ სასწავლო კორპუსებსა და კვლევით ინსტიტუტებში, მათ შორის მე-3 სასწავლო კორპუსში; ალექსანდრე ნათიშვილის სახელობის მორფოლოგიის ინსტიტუტის შენობაში, სადაც განთავსებულია მედიცინის ფაკულტეტი; ელეფთერ ანდრონიკაშვილის ახელობის ფიზიკის ინსტიტუტში; ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში; პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 200-ზე მეტი აკრედიტებული პროგრამა მოქმედებს, უნივერსიტეტის 7 ფაკულტეტზე 20 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს. მათ შორის, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული აფხაზურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი სტუდენტები.

# თსუ – პირველი ქართული უნივერსიტეტი Times Higher Education-ის რანჟირებაში

***პირველი გვერდიდან***

თსუ-მ ყველაზე დიდი შეფასება აიღო საერთაშორისო ცნობადობისა და ინდუსტრიული შემოსავლის კომპონენტში:

საერთაშორისო ცნობადობა გულისხმობს საერთაშორისო და ადგილობრივი სტუდენტებისა და საერთაშორისო და ადგილობრივი პერსონალის რაოდენობის შეფარდებას, ასევე საერთაშორისო თანამშრომლობას.

ინდუსტრიული შემოსავლის კომპონენტი კი – გამოგონებებისა და ინოვაციების წარმოებაში დანერგვას ქვეყნის მასშტაბით. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე გლობალურ აკადემიურ სივრცეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება უნივერსიტეტის მიერ კომერციული ბაზრის დაინტერესებას კვლევების მეშვეობით სხვადასხვა სფეროში, რაც ინსტიტუციური ხარისხის სასარგებლო მაჩვენებელია.

რანჟირების თორმეტწლიანი ისტორიის მანძილზე პირველად ლიდერი უნივერსიტეტი გახდა ოქსფორდის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი). ბოლო ხუთი წლის განმავლობაში რეიტინგის სათავეში კალიფორნიის ტექნოლოგიის ინსტიტუტი (აშშ) იდგა.

აღსანიშნავია, რომ წელს მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირებაში საკონკურსოდ Times Higher Education-მა კვლევითი კომპონენტის შესაფასებლად გამოიყენა უნივერსიტეტების გამოცემების რაოდენობაც. რეიტინგში აისახა მხოლოდ ის პუბლიკაციები, რომელიც Elsevier's Scopus-ის ბაზაში იძებნება.

***შეფასების კრიტერიუმი 5 ძირითად სფეროს მოიცავს:***

- სწავლება (სასწავლო გარემო): 30%;
- კვლევა (რაოდენობა, შემოსავალი და რეპუტაცია ): 30%;
- ციტირება (კვლევის გავლენა): 30%;
- საერთაშორისო ცნობადობა (პერსონალი, სტუდენტები და კვლევა): 7,5%;
- ინდუსტრიული შემოსავალი (გამოგონებებისა და ინოვაციების წარმოებაში დანერგვა) 2,5%.

მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების შეფასებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება უნივერსიტეტის საერთაშორისო რეპუტაციას, თანამშრომლებისა და სტუდენტების რაოდენობრივ შეფარდებას, სამეცნიერო კვლევების პროდუქტიულობას, რეფერირებად ჟურნალებში კვლვების გამოქვეყნებას, ციტირების ინდექსს და სხვა.

უნივერსიტეტების მონაცემების შეფასების გამოთვლის პროცესს ადასტურებს დამოუკიდებელი აუდიტი (Pricewaterhouse Coopers (PWC). მონაცემთა შეკრების პროცესში გარდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა, ჩართულნი არიან სტუდენტები და პროფესორები, რომლებიც ავსებენ სპეციალურ კითხვარს.

# ბლუმბერგის საერთაშორისო სასწავლო-კვლევითი ლაბორატორია თსუ-ში

***პირველი გვერდიდან***




მობს უნივერსიტეტში პროფესიული „დილინგ რუმის“ შექმნას 12 ტერმინალის ბაზაზე. ეს უნივერსიტეტს საშუალებას მისცემს რეალურ რეჟიმში ასწავლოს სტუდენტებს საბირჟო ოპერაციების წარმოება და ხელი შეუწყოს მათ განხორციელებაში.

დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული – Bloomberg-ის საერთაშორისო კვლევითი ლაბორატორია თსუ პროფესორ-მასწავლებლებს (ეკონომისტებს, იურისტებს, მათემატიკოსებს, ჟურნალისტებს) დაეხმარება ჩაერთონ საერთაშორისო ბაზრის კვლევებში, საერთაშორისო ბაზრების მენეჯმენტში, გამოიკვლიონ ბაზრის თანამედროვე ტენდენციები, თავისებურებები, მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია, გაუზიარონ ის თავის კოლეგებს, მოაწყონ ამის ბაზაზე კონფერენციები, დაამუშაონ და მოიზიდონ გრანტები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ და პირდაპირი პროფილით, რეალურ უნარ-ჩვევებზე დაყრდნობით მოამზადონ სპეციალისტები დილინგის, ინვესტირების, ბანკების, საფინანსო და სადაზღვევო კორპორაციებისათვის. Bloomberg-ის პლატფორმის საშუალებით თსუ-ს ექნება პირდაპირი წვდომა მის ბაზაში არსებულ საერთაშორისო სავალუტო და სადილინგო ოპერაციების სრულ ციკლთან, რაც სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას მიიღონ სრულყოფილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა და, ამავდროულად, შეასრულონ მსგავსი ოპერაციები რეალური დროის რეჟიმში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია პოტენციალი იქცეს ცენტრად საერთაშორისო ფინანსური, სავალუტო და სასაქონლო ბაზრების სწავლებისთვის, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე სამხრეთ კავკასიაშიც. მსოფლიო საფინანსო ბაზარზე სავალუტო, საფინანსო და სასაქონლო ბირჟებზე მუშაობის ელექტრონულ პროგრამულ უზრუნველყოფას ორი კომპანია – ბლუმბერგი (Bloomberg) და როიტერსი (Reuters) ახორციელებს. მხოლოდ მათ გააჩნიათ დილინგის პროდუქტის შეთავაზების ექსკლუზიური უფლება და აქედან გამომდინარე, მთელი მსოფლიო საფინანსო სამყარო ამ ორ კომპანიაზე დაყრდნობით ახორციელებს საბირჟო ოპერაციებს.

# თსუ უწყვეტი განათლების ცენტრი – საუკეთესო არჩევანი აბიტურიენტთათვის!

***პირველი გვერდიდან***

ჩვენ თსუ უწყვეტი განათლების ცენტრში სწავლის და უმაღლეს სასწავლებელზე გაკეთებული არჩევანის მიზეზებით დაინტერესდა და ცენტრის კურსდამთავრებულებს საკუთარი გამოცდილების გაზიარება სთხოვა:



***ნინო დანელიშვილმა*** არჩევანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტზე შეაჩერა: „ქ. თბილისის 47-ე საჯარო სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე, გამომდინარე იქიდან, რომ თსუ ამიერკავკასიაში ნომერ პირველი უნივერსიტეტია სწავლების უმაღლესი ხარისხითა და სანდოობით, ყოველთვის მსურდა ამ უმაღლეს სასწავლებელში განათლების მიღება და როდესაც ინტერნეტის საშუალებით თსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილების შესახებ შევიტყვე, მაშინვე მივმართე მათ.

ბედნიერი ვარ, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე და ასეთ პროფესიონალ პედაგოგებთან მოვხვდი, რამაც განაპირობა ჩემი წარმატება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. ჩავირიცხე თსუ იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის პროგრამაზე 100%-იანი გრანტით.

ენერგიას არ დავიშურებ იმისათვის, რომ ღირსეული სტუდენტი ვიყო და მჯერა, – რომ ჩემი და უნივერსიტეტის ერთობლივი ძალისხმევით პროფესიონალი გავხდები“. – ამბობს ნინო.

***მარიამ აბრამიშვილი*** დღეს სან დიეგოს უნივერსიტეტის სტუდენტია. „სანამ სან დიეგოს უნივერსიტეტში ჩავაბარებდი, ვსწავლობდი კერძო კოლეჯში „ოქროს აკვანი“. მქონდა მაღალი ნიშნები, მაგრამ, ვიდრე ეროვნულ გამოცდებზე გავიდოდი, მსურდა გავცნობოდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდებს და მომესმინა მისი პროფესორ-მასწავლებლების ლექციები. ამიტომ, როდესაც ოჯახის წევრებისგან გავიგე, რომ თსუ-ს აქვს აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსები, უყოყმანოდ მივაკითხე. ცენტრის ხელმძღვანელმა, ბატონმა რამაზ ვაჯბედაშვილმა ყურადღებით მომისმინა და დამეხმარა შესაფერისი საგნების არჩევაში. თავიდანვე მომხიბლა ლექტორთა პროფესიონალიზმმა და სწავლების განსხვავებულმა მეთოდებმა. ქალბატონმა ზინა გაბიჩვაძემ ქართული ენა და ლიტერატურა სხვა კუთხით დამანახა, ხოლო ჩემი საყვარელი ლექტორი გახდა ქალბატონი ნინო გოგინაშვილი, რომელმაც ბიოლოგიის საკითხებში კიდევ უფრო ღრმად ჩამახედა და უახლესი სამეცნიერო კვლევებიც გამაცნო, რაც ძალიან დამეხმარა მისაღებ გამოცდებზე.



სან დიეგოს უნივერსიტეტი ავირჩიე, რადგან ეს არის უნიკალური შანსი საქართველოდან გაუსვლელად მიიღო ამერიკული განათლება და დიპლომი. მინდა აღვნიშნო ის დიდი ფინანსური მხარდაჭერა, რომელსაც ამერიკული მხარე იჩენს ქართველი სტუდენტების მიმართ. უკვე ერთი კვირაა ვსწავლობ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოქიმიის ფაკულტეტზე, რომელიც ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში.

მომავალში ვაპირებ არ დავჯერდე ბაკალავრის ხარისხს და გავიღრმავო ცოდნა და კვალიფიკაცია. ბიოქიმიის სფეროში მიმდინარე თანამედროვე კვლევები მიმართულია ადამიანების ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებისკენ, რაშიც, მსურს, ჩემი წვლილიც შევიტანო და შედეგები ქართველი ხალხის სასიკეთოდ გამოვიყენო“. – გვიყვება მარიამი.

ახალგაზრდები დღეს სტუდენტები არიან და აბიტურიენტებს თსუ უწყვეტი განათლების ცენტრზე არჩევანის გაკეთებას უყოყმანოდ ურჩევენ.

უწყვეტი განათლების ცენტრი მსურველებს ტრენინგ კურსებს, სასერტიფიკატო კურსებს, უცხო ენის კურსებსა და ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებელ კურსებს სთავაზობს. აბიტურიენტებს საშუალება აქვთ სრულფასოვნად მოემზადონ შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები, უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული), ისტორია, გეოგრაფია, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია. კურსის მიმდინარეობისას აბიტურიენტებს ჩაუტარდებათ ერთიანი ეროვნული გამოცდების ანალოგიური ტესტირებები. ამავდროულად, კურსის განმავლობაში აბიტურიენტებს საშუალება ექნებათ გაეცნონ უნივერსიტეტს, მის საგანმანათლებლო პროგრამებს, მოისმინონ მათთვის საინტერესო ლექციები, მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის სხვადასხვა აქტივობაში, მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია მომავალი პროფესიის შესახებ. ცენტრი აბიტურიენტებს გადახდის ხელსაყრელ გრაფიკსა და ხელმისაწვდომ ფასს სთავაზობს.

# ევროპაში სწავლის შესაძლებლობა თსუ სტუდენტებისთვის

*პირველი გვერდიდან*

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელის თეა გერგედავას განცხადებით, „საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ფარგლებში, უნივერსიტეტს 2016-2018 წლებში ევროპის 19 ქვეყნის 45 წამყვან უნივერსიტეტთან დაუფინანსდა მობილობები ყველა საფეხურის სტუდენტებისა და აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ეს კი მიმდინარე სასწავლო წელს, დაახლოებით, 300-ზე მეტი დაფინანსებული საერთაშორისო გრანტია. აქედან 270-მდე გრანტი სტუდენტებისთვისაა გათვალისწინებული“.

თსუ-ს სტუდენტები პროგრამისა და მიღებული გამოცდილების შესახებ გვიყვებიან:



***გიორგი წილოსანი***, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სოციოლოგიის მიმართულება:

ევროკომისიის საგანმანათლებლო პროგრამის (Erasmus+) ფარგლებში ვიყავი გერმანიაში, ლაიპციგის უნივერსიტეტში, სოციალური მეცნიერებების და ფილოსოფიის ფაკულტეტზე, სადაც ვსწავლობდი სოციოლოგიის მიმართულებით. პირველად „ერასმუსის“ შესახებ, ჯერ კიდევ, სკოლაში გავიგე. მაშინ საუბრობდნენ პროგრამაზე, რომელშიც საქართველოც მალე ჩაერთვებოდა და სტუდენტებს საშუალება მიეცემოდათ ესწავლათ ევროპის უნივერსიტეტებში. 4 წლის შემდეგ კი მეც ჩავეწერე „ერასმუსელების“ სიაში. უნივერსიტეტში პირველ კურსზე წარადგინეს სხვადასხვა პროგრამა, თუმცა მონაწილეობის საშუალება მხოლოდ მეორე კურსიდან გვქონდა. მეც გავაგზავნე საბუთები და ერთ დღეს დამხვდა მეილი, რომელმაც ბევრი რამ შეცვალა ჩემს ცხოვრებაში.

ამ ერთმა წელმა უამრავი რამ მასწავლა, განათლებასთან ერთად ყველაზე ფასეულ გამოცდილებად მივიჩნევ დამოუკიდებლად ცხოვრებას და იმ ყოველდღიურ პრობლემებთან გამკლავებას, რაც მშობლიურ ქვეყანაში არ გხვდება ან საერთოდ ვერ შეგხვდება. „ერასმუსი“ კულტურის გაცვლაა, ხვდები უამრავ ადამიანს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილიდან. ადამიანებთან ურთიერთობა და დამოუკიდებლად ცხოვრება ორი მნიშვნელოვანი გამოცდილება იყო ჩემთვის. მომავალ ერასმუსელებს ვეტყოდი, რომ რაც შეიძლება მეტი იმოგზაურონ, ისწავლონ და მაქსიმალურად გამოიყენონ მობილობის პერიოდი, რადგან იქ დრო ძალიან სწრაფად გადის.



***მარიამ ჭუჭულაშვილი***, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულება:

„ერასმუს+“-ის პროგრამით პორტუგალიაში 10 თვე ვიყავი. ვსწავლობდი ქალაქ ბრაგანსას პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ინფორმაციული სისტემების განხრით.

ყოველთვის ვფიქრობდი, რომ საზღვარგარეთ სწავლა ჩემს სფეროში განმავითარებდა, მეტი შანსი მექნებოდა მიმეღო დამოუკიდებლად ცხოვრების გამოცდილება, განსხვავებული კულტურის ხალხთან ურთიერთობა და სხვა ქვეყნის კულტურის გაცნობა.

ამ კონკურსის შესახებ საკმაოდ გვიან გავიგე, ბრაგანსას უნივერსიტეტში სწავლა უკვე დაწყებული იყო და თავიდან ვფიქრობდი, რომ არც ღირდა ცდა, მაგრამ მოგვიანებით, ჩემი ლექტორის დაჟინებით გადავწყვიტე ბედი მეცადა და გამიმართლა. გასაუბრებიდან ერთ თვეში წავედი პორტუგალიაში. ვთვლი, რომ განათლების მიღების თვალსაზრისით, საკმაოდ კარგი წელი იყო ჩემთვის. შესაძლებლობა მომეცა მენახა, რა კუთხით ასწავლიან ჩემს პროფესიას სხვა უნივერსიტეტში და მონაწილეობა მიმეღო სხვადასხვა საუნივერსიტეტო კვლევასა და ახალი სასწავლო მეთოდოლოგიის გამოცდაში, რისი შესაძლებლობაც აქამდე არ მქონია.

საუკეთესო წელი იყო ახალი მეგობრების შესაძენად, „ერასმუსი“ პატარა ოჯახივითაა, სადაც ყველა ერთმანეთს ეხმარება და იმედი მაქვს, რომ ეს ურთიერთობები სამუდამოდ გაგრძელდება.

***ზურა გამთენაძე***, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება:

2016 წლის გაზაფხულის სემესტრი ვიყავი გერმანიაში, კერძოდ იენაში, ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტში, ჩემივე სპეციალობით — პოლიტიკის მეცნიერება. ეს პროგრამა მოიცავდა ხუთთვიან სწავლებას. ვფიქრობ, რომ ევროპული და ამერიკული სწავლების ხარისხი ქართულთან შედარებით უკეთესია. თუმცა, ამ ფაქტორთან ერთად, ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ახალ კულტურულ გარემოში ცხოვრების შესაძლებლობა, სადაც საშუალება მომეცა ხშირ შემთხვევაში რადიკალურად განსხვავებული სოციუმის წევრებთან მქონოდა ურთიერთობა. ჩემი აზრით, ეს მნიშვნელოვანია პროგრესული საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის.



ამ ხუთმა თვემ, საკმაოდ კარგი განათლების გარდა, სწორედ ის შედეგები მომცა, რა მიზნითაც ვიყავი წასული. მქონდა განსხვავებული კულტურის ადამიანებთან ურთიერთობა, საინტერესო დისკუსიები. თავისუფალ დროს, ხშირად, ვატარებდით ერთად. ამ ყველაფერმა უდიდესი პოზიტიური ემოციებით დამმუხტა და მოტივაცია გამიორმაგა.

ყველა სტუდენტს, რომელსაც ევროპაში სწავლის სურვილი აქვს, ვურჩევდი, რომ ეს საუკეთესო შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვას, მაქსიმალური ინვესტიცია ჩადოს საკუთარ განათლებაში, რათა შემდეგ უფრო მეტი პერსპექტივები გაუჩნდეთ. ჩემი აზრით, ამისთვის აუცილებელია თავდაჯერებულობა, ჯანსაღი ამბიციები და მეტი ცოდნის მიღების სურვილი, რაც შემდგომში გვეხმარება მიზნის მიღწევაში, ენის ან ენების შესწავლასა და სამომავლო წარმატებებში.

* * *

2006 წლიდან დღემდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 872 სტუდენტს მისცა შესაძლებლობა უფასოდ ესწავლა ევროპის საუკეთესო უნივერსიტეტებში სწავლების სხვადასხვა საფეხურზე. გასულ სასწავლო წელს თსუ-ს 200-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო მობილობაში მონაწილეობა. უნივერსიტეტის სტუდენტები სწავლობენ იტალიის, ფინეთის, საფრანგეთის, ესპანეთის, გერმანიის, პორტუგალიის, ევროპის სხვა ქვეყნებისა და ჩინეთის უნივერსიტეტებში.

# თსუ საბავშვო უნივერსიტეტი — პირველი ნაბიჯები საუნივერსიტეტო განათლებისკენ

*პირველი გვერდიდან*

„თსუ დესპანი“ თსუ უწყვეტი აკადემიური განათლების ცენტრის შემადგენლობაში შემავალი „თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ პროექტთაგან ერთ-ერთია. პროექტების მიზანი მომავალი სტუდენტებისათვის პროფესიის ასარჩევად გზის მიცემა და სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული შესაძლებლობების მაქსიმალური წამორჩენაა.

„თსუ დესპანებთან“ შეხვედრის გარდა, თსუ ფაკულტეტებთან არსებული „ნორჩთა სკოლები“ ასევე კარგი საშუალებაა სკოლის მოსწავლეებისთვის უნივერსიტეტის გასაცნობად — მათ შეუძლიათ თსუ ლექტორების მიერ მათთვის მომზადებულ ლექციებს უფასოდ დაესწრონ და საინტერესო თემებზე საბაზისო ცოდნა მიიღონ.

***ნაირა მელქაძე*** ერთ-ერთი მათგანია, ვისაც უნივერსიტეტის „დესპანი“ არჩევანის გაკეთებაში დაეხმარა. ნაირა წელს თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის პირველ კურსზე ასპროცენტიანი დაფინანსებით ჩაირიცხა. მართალია, ეკონომიკის ფაკულტეტზე სწავლა უფასოა, მაგრამ როგორც თავად განმარტავს, სურვილის შემთხვევაში გრანტის სხვა ფაკულტეტზე გადატანა და სწავლის იქ უფასოდ გაგრძელების საშუალება ექნება.



თუმცა, ნაირა ფიქრობს, რომ არჩევანის შეცვლა არ მოუწევს, რადგან ინფორმაცია ფაკულტეტის შესახებ წინასწარ „საბავშვო უნივერსიტეტში“ უკვე მიიღო. ნაირა ერთდროულად „ნორჩი ჰუმნიტარებისა“ და „ნორჩი სოცპოლების“ სკოლების მიერ ორგანიზებულ ლექციებზე დადიოდა. თუმცა, საბოლოოდ ეკონომიკამ გაიტაცა. ჩარიცხვამდე ერთი წლით ადრე „ეკონომისტების სკოლის“ არც ერთი ლექცია არ გაუცდენია და სამომავლო პროფესიის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაშიც საბოლოოდ „საბავშვო უნივერსიტეტი“ დაეხმარა. როგორც ნაირა აცხადებს, „საბავშვო უნივერსიტეტთან“ თანამშრომლობა მისთვის სამომავლოდაც ძალზე სასიამოვნო იქნება და შესაძლოა თავისი ძალები „თსუ დესპანის“ სტატუსითაც მოსინჯოს.

როგორც თსუ მომზადების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი და „საბავშვო უნივერსიტეტის“ წარმომადგენელი გიორგი გრიგოლაშვილი აცხადებს, „საბავშვო უნივერსიტეტი“ აფართოებს თავისი საქმიანობის მასშტაბებს არა მარტო გეოგრაფიული თვალსაზრისით, არამედ შინაარსობრივადაც. მისი თქმით, გასული წლების გამოცდილებამ აჩვენა, რომ მათი საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული საკითხი პროფორიენტაციაა. სწორედ ეს იყო 21 სექტემბერს ფიზიკის დიდ აუდიტორიაში გამართული ღია კარის დღის ერთ-ერთი მთავარი თემა, ისევე, როგორც შემდგომ დღეებში ქუთაისის კერძო და საშუალო სკოლებში გამართული შეხვედრებისა.

„ღია კარის“ ტიპის შეხვედრებს „საბავშვო უნივერსიტეტის“ წარმომადგენლები იმერეთის და სამცხე-ჯავახეთის მასშტაბით, კერძო და საშუალო სკოლების მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის, მთელი ნოემბრის ჩათვლით გეგმავენ. ახალი სასწავლო წლიდან, პარალელურად, განახლდება სხვადასხვა ლექციის თემატიკა, „საბავშვო უნივერსიტეტის“ საქმიანობაში ჩაერთვებიან ახალი იდეების მქონე ახალგაზრდა ლექტორები, გარდა ამისა, რეგიონებში მდებარე კერძო და საშუალო სკოლებისათვის ლექციების ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარებაც იგეგმება.

„სკაიპის“ გამოყენებით სწავლების შესაძლებლობის ტესტირება საბავშვო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ჯერ კიდევ შარშან ჩაატარეს. როგორც გრიგოლაშვილი განმარტავს, ეს მეთოდი განსაკუთრებით ეფექტიანი ზამთრის პერიოდშია, როდესაც ტრანსპორტით მიმოსვლა გაძნელებულია. სკოლებთან დაკავშირება და სწავლებების ჩატარება ამ გზით ზედმეტი მატერიალური დანახარჯის გარეშეა შესაძლებელი. საამისოდ ძირითადი პირობაა სკოლაში ინტერნეტის არსებობა, რაც დღეისათვის ფაქტობრივად პრობლემას არსად წარმოადგენს.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველკურსელი მარიამ იმერლიშვილი თსუ-ში ჩარიცხვამდე ასევე „საბავშვო უნივერსიტეტის“ ლექციებზე დადიოდა. დღეს იგი საერთაშორის ურთიერთობის მიმართულებზე სწავლობს, ასევე სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ასპროცენტიანი გრანტით.



„ჰუმანიტარული ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ ძალზე საინტერესო ლექციებზე დავდიოდი, მაგრამ მერე აღმოვაჩინე, რომ „საბავშვო უნივერსიტეტს“ საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით არ ჰქონდა კურსი. როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „ევროპული ახალგაზრდული ცენტრის“ წევრმა, ჩემს მეგობრებთან ერთად „საბავშვო უნივერსიტეტში“ ამ მიმართულების შექმნის ინიციატივა წამოვაყენე. ჩვენს იდეას „საბავშვო უნივერსიტეტში“ დიდი მოწონებით შეხვდნენ. დღეისათვის ამ კურსზე ონლაინ რეგისტრაცია მიმდინარეობს. ამ საქმიანობაში კურსის მხარდამჭერებია საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ. მარიამი ამბობს, რომ მას დრო „საბავშვო უნივერსიტეტში“ უქმად ნამდვილად არ დაუკარგავს და დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის „საბავშვო უნივერსიტეტში“ სწავლა ძალიან საინტერესო გამოცდილებაა, რომელიც აბიტურიენტს არჩევანის გაკეთებას უადვილებს.

„თსუ საბავშვო უნივერსიტეტმა“ ახალი სასწავლო წელი უკვე დაიწყო. ლექციებზე დასწრება და საკუთარი ინტერესების მიხედვით „ნორჩთა სკოლის“ შერჩევა ყველა მსურველ მოსწავლეს შეუძლია.

# თსუ მეცნიერთა საველე ექსპედიცია ზემო სვანეთში

სულ ცოტა ხნის წინ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის საველე ექსპედიცია ზემო სვანეთში სამეცნიერო პროექტის: ”ქართულ ხალხურ დღეობათა ილუსტრირებული კალენდარი (სვანეთი)” ფარგლებში ჩატარდა. ექსპედიციის მიზანი სვანეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ძირითადი საკულტო ცენტრების, მათი ორგანიზაცია-სტრუქტურის, ხალხურ დღეობათა ორგანიზების, მიმდინარეობის, რიტუალური ინტერაქციის შესახებ ინფორმაციის დაფიქსირება და სისტემატიზირება იყო. ასოცირებული პროფესორების როზეტა გუჯეჯიანისა და ქეთევან ხუციშვილის მიერ საველე ეთნოგრაფიული სამუშაოების შედეგად მოპოვებული სრულიად ახალი მასალა სამეცნიერო ლიტერატურისთვის ქართულ ხალხურ დღეობათა შესახებ ცოდნის შევსების საშუალებას იძლევა.

მეცნიერთა განმარტებით, გადამოწმდა და დადგინდა სხვადასხვა დღეობებისა და რიტუალის აღწერილობა, მათი ჩატარების თარიღის გამოთვლის წესები, შესაწირავი ატრიბუტების სახეობები, მათი დამზადების ტრადიციები. დაზუსტდა საეკლესიოდ და წმიდად მიჩნეული მიწების, ტბების, ტყეების ადგილმდებარეობები. აღიწერა 70-მდე რელიგიური დღეობისა და რიტუალის ამსახველი მასალა. ძალიან საინტერესოა მაცხოვრის ეკლესიისათვის უღლის შეწირვისა და წმიდა ბარბარესათვის ფურის პირველი ნაწველით დასველებული კვირისთავის შეწირვის ტრადიციები. მლოცველები დღესაც ამზადებენ ხისგან პატარა ზომის უღლებს, ქვის კვირისთავებს და რიტულის დაცვით სწირავენ კონკრეტულ სალოცავებს. ექსპედიციის მონაწილეთა მიერ ყურადღება გამახვილდა რელიგიური რიტუალების ნაწილზე - სპორტულ შეჯიბრებების სახით, რომლებიც ახლაც დიდი ენთუზიაზმით სრულდება: ჭიდაობა, დოღი, საჯილდაო ქვის აწევა. ჩაწერილ იქნა ეთნოგრაფიული მასალა საოჯახო ლოცვების შესახებ („უწონაშ“). განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა დღეობების დაგეგმვისა და განხორციელების ხალხურ წესებზე: დადგინდა ამა თუ იმ რიტუალის კონკრეტული სახელი სხვადასხვა თემში, თემის წევრების უფლება-მოვალეობანი ამ რიტუალების მომზადებისა და აღსრულების პროცესში. ყურადღება გამახვილდა ასევე ხელახლა აღდგენილ რელიგიურ ტრადიციებზე: მაგალითად, მუჟალის თემის სოფელ ჟაბეშის ტყეში აღდგენილი ღვთისმშობლის ეკლესიის ეზოში ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე მარიამობის გამართვაზე, კანონიკური წირვითა და ხალხური რიტუალითურთ. ჩაწერილ იქნა ეკლესიათა მოვლა-პატრონობის ამსახველი მასალა, სოფლებისა და ოჯახების ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით.

საინტერესოა, რომ მეცნიერთა მიერ დაფიქსირდა ასევე მნიშვნელოვანი მასალა ეკოლოგიური ცოდნა-გამოცდილების შესახებ: ამინდის გამოცნობის ხერხები, ხვნა-თესვის, მშენებლობის, სამგზავროდ წასვლის თარიღის გამოთვლა მთვარის კალენდართან შესაბამისობაში, ემპირიული ცოდნა ტყეებისა და მდინარეების დაცვის შესახებ, ნიადაგის ცოდნის ამსახველი მასალა ე.წ. წმიდა ტბებთან დაკავშირებული აკრძალვები და გადმოცემები. ეთნოგრაფიული წყაროებისა და მოპოვებული მასალის შეჯერების საფუძველზე შესაძლებელი გახდა სვანეთის გამოჩენილი არისტოკრატული საგვარეულოს - რუჩეგიანების ნამოსახლარების იდენტიფიცირება ჩუბეხევში: ფარის, ლუჰას, ეცერის თემებში. მომზადდა წინასწარი ინფორმაცია ნაკრის თემში არსებული ჯუხლანის კოშკის შესახებ. როგორც მეცნიერები განმარტავენ, ამ ძალზე მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული მასალის შემდგომი სამეცნიერო დამუშავება და ანალიზი ბევრ საინტერესო პერსპექტივას იძლევა ქართული კულტურის კვლევის კუთხით. ყოფითი კულტურის ელემენტები, დღეობათა გეოგრაფიული ლანდშაფტი, დაგეგმვა-მართვა, მიმდინარეობა, რიტუალური საგნები, ტექსტები თუ სხვა ერთეულები შეიცავენ უნიკალურ ინფორმაციას ქართული კულტურის განვითარების ეტაპების შესახებ, ქართველთა მსოფლმხედველობრივ წარმოდგენებზე, ღირებულებებზე, სტერეოტიპებზე, ეთიკურ ნორმებსა და ა.შ. შესაბამისად, ხალხურ დღეობათა წარმოჩენა-ანალიზი საშუალებას იძლევა შევიქმნათ მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა ქართული კულტურის კონფიგურაციაზე.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია — ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge